

ნავთობის რესურსები და გენდერული უთანასწორობა არაბულ ქვეყნებში

თინათინ ოქროშიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ოქროშიაშვილი

22.06.2018

აბსტრაქტი

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის და ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნები ყოველთვის იყო და არის გარე ძალების ყურადღების ობიექტი, რასაც განაპირობებს ამ რეგიონში არსებული ნავთობის დიდი მარაგი. ნავთობმრეწველობა არაბულ ქვეყნებში მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რეგიონში არსებული ნავთობის მარაგი ამოწურვადია, ამიტომ თითოეული ნავთობიმპორტიორი ქვეყანა ცდილობს მიიღოს რაც შეიძლება მეტი სარგებელი, სადამდეც ეს შესაძლებელი იქნება. თუმცა ნავთობმრეწველობას არ მოაქვს ისეთივე სარგებელი არაბული ქვეყნებისათვის, ვინაიდან ნავთობმრეწველობაზე დამყარებულ ეკონომიკას არასწორად წარმართვის შემთხვევაში უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის, ვიდრე სარგებლის და განვითარების.

ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს არაბულ ქვეყნებში არსებული გენდერული დისბალანსი. გენდერული ბალანსი დღესდღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ქალებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიაღწიეს თანასწორუფლებიანობას მამაკაცებთან მიმართებით. თუმცა, გენდერული ბალანსის დონე ყველგან ერთნაირი არ არის. ზოგიერთ რეგიონში გენდერული დისბალანსის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი გვხვდება. მაგალითად ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის არაბულ ქვეყნებში ქალის უფლებები ძალიან შეზღუდულია. მრავალი კვლევის თანახმად ამის გამომწვევი მიზეზი რეგიონში არსებული რელიგია და ისლამური ტრადიციებია. ჩემი კვლევის მთავარი ამოცანაა, პასუხის გაცემა კითხვას, რა გავლენას ახდენს ნავთობმრეწველობა აღნიშნული რეგიონების არაბულ ქვეყნებში არსებულ გენდერულ დისბალანსზე.

ნაშრომში კვლევის თვისობრივი მეთოდოლოგიის case-study მეთოდის გამოყენებით, შევძელი შემესაწავლა და შემდეგ ერთმანეთთან შემიდარებინა რელიგიისა და ისლამური ტრადიციების თვალსაზრისით მსგავსი არაბული ქვეყნები, რომელთაც ნავთობის განსხვავებული მარაგი გააჩნიათ. ქვეყნების შედარებით ნათლად დავინახე

გენდერული ბალანსის განსხვავებული მაჩვენებელი, რომელიც არაბულ ქვეყნებში გვხვდება. ნავთობით მდიდარ ზემოაღნიშნულ ქვეყნებში გენდერული დისბალანსის მაღალი მაჩვენებელია, მაშინ როდესაც ნავთობით ღარიბ სხვა არაბულ ქვეყნებში ქალებმა მამაკაცებთან მიმართებით უფრო მეტ თანასწორუფლებიანობას მიაღწიეს. გარდა ამისა შევისწავლე და ისტორიულად მიმოვიხილე ქალის როლი ისლამში. მიღებული შედეგებით შევძელი ჩემი ჰიპოთეზის დასაბუთება, რომ არა მხოლოდ რელიგია და ისლამური ტრადიციები, არამედ ნავთობის წარმოება ახდენს უდიდეს გავლენას არაბულ ქვეყნებში არსებულ გენდერულ დისბალანსზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გენდერული დისბალანსი, ნავთობმრეწველობა, არაბული ქვეყნები, ისლამი.

Abstract

The countries of the middle east and Arabic countries of North Africa has always been in the center of attention due to the supply great amount of oil. Oil industry in Arabic countries plays one of the main factors in the world economy and politics. As the amount of oil is limited each of the country tries to get as much as possible. However, the same industry is not so productive for Arabic countries as the wrong planning of the campaign can lead to much worse result than to the profit for the country.

The general topic of my work is gender dis-balance equality in Arabic countries. Balance equality between the genders is one of the most important topics around the world as the women got the equality toward men in many countries . Though, the gender equality isn't on the same level in every country. Some countries still have the high rate of en equality, countries

like middle east and Arabic countries of North Africa. The surveys shows that this is the result of religion and Islamic traditions . The main aim of my work is to state the answer to the question that- how does the oil industry influence in Arabic countries on gender dis balance.

Based on case-study I managed to get the information and compare by religion and Islamic traditions the countries with different level of oil supply. The results vividly show the differences in gender dis-balance in different countries . In countries with high level of oil supply the level of dis balance/en equality is much high compared to the countries with low level of oil supply where the women gained more equality . Moreover , I deeply studied the role of woman in Islamic religion. Based on my study I can state that not only the religion and traditions but the oil industry itself plays the role on dis balance between men and women in Arabic countries .

keywords : gender en equality, oil industry, Arabic countries, Islam.